სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პრესრელიზი

28.04.2015წ.

საკონტაქტო პირი: ეკა გაბადაძე
კომუნიკაციების მენეჯერი
ელ.ფოსტა: egabadadze@spa.ge
ტელ: 577244454

შეხვედრა მსოფლიო ბანკის მისიასთან
საჯარო ფინანსების მართვის საკითხებზე

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ კახა დემეტრაშვილმა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა მანანა შურღულაიამ 28 აპრილს მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლები მიიღეს.

მისიის შემადგენლობაში იყვნენ ვერენა ფრიცი - მსოფლიო ბანკის საჯარო სექტორის მთავარი სპეციალისტი, ლიანა სხირტლაძე - საჯარო ფინანსების მართვის ექსპერტი; ალექსანდრე გუგუშვილი - ექსპერტი.

ვიზიტის მიზანი პოლიტიკური ეკონომიკის რეგიონული კვლევის ფარგლებში საჯარო ფინანსების მართვის საკითხების განხილვა იყო. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები დაინტერესდნენ საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმით, სიახლეებითა და სამომავლო გამოწვევებით.

შეხვედრაზე სააგენტოს წარმომადგენლებმა დელეგაციას გააცნეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მუშაობის პრინციპები, განხორციელებული რეფორმები, ახალი გამოწვევები და მომავალში დაგეგმილი ღონისძიებები.